



## ეკონომიკური ზრდა ევროპასა და ცენტრალურ აზიაში შენელება რისკების მატებასთან ერთად

*უფრო მეტად დინამიური კერძო სექტორის ხელშეწყობა რეფორმებს სამუშაო ადგილების შექმნა და მდგრადობის ამაღლება შეუძლია*

**ვაშინგტონი, 8 აპრილი, 2026** — მსოფლიო ბანკის დღეს გამოქვეყნებული [ეკონომიკური მიმოხილვის](#) თანახმად, ეკონომიკური ზრდა ევროპის და ცენტრალური აზიის (ECA) განვითარებად ქვეყნებში წელს სავარაუდოდ არსებითად შენედება, ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე კონფლიქტის ზემოქმედების, გეოპოლიტიკური დაძაბულობის და ვაჭრობის ფრაგმენტაციის გამო.

2026 წელს მოსალოდნელია რეგიონული ეკონომიკური ზრდის 2.1%-მდე შესუსტება. რუსეთში ზრდის მაჩვენებელი სავარაუდოდ 0.8%-მდე დაეცემა, ხოლო სხვა რეგიონებში ის 2.9%-მდე დაიკლებს სამომხმარებლო აქტივობის შენელების ხარჯზე ენერგომატარებლებზე ფასების ზრდის გამო. ასევე აღსანიშნავია, რომ გაურკვეველობა გავლენას იქონიებს ინვესტიციებზე.

*„რეგიონის მდგრადობა კვლავაც განსაცდელშია, ბუნებრივი გაზის, ნავთობის და სასუქების იმპორტზე რიგი ქვეყნების დამოკიდებულების პირობებში“, - აღნიშნა მსოფლიო ბანკის ვიცე-პრეზიდენტმა ევროპის და ცენტრალური აზიის რეგიონში ანტონელა ბასანიმ. მისივე თქმით: „ბევრ ქვეყანაში საჭირო იქნება კრიზისის გავლენაზე რეაგირება ყველაზე მოწყვლადი ჯგუფების დასაცავად მიზანმიმართულ ღონისძიებებზე ფოკუსირებით. სირთულეების მიუხედავად, დარგობრივი რეფორმების განხორციელება ფირმების ზრდისა და სამუშაო ადგილების შესაქმნელად ხელს შეუწყობს კრიზისის ზემოქმედების შემცირებას და ამაღლებს ეკონომიკურ მდგრადობას და დინამიზმს.“*

პროგნოზის მიხედვით, 2026-27 წლებში ეკონომიკური ზრდა ცენტრალურ აზიაში საშუალოდ 4.9%-მდე შენედება, ყაზახეთში ნავთობის წარმოების სტაბილიზაციის პარალელურად. სავარაუდოდ, ცენტრალური ევროპის ეკონომიკა წელს დაახლოებით 2.4%-ით გაიზრდება, სანამ 2027 წელს 2.3%-მდე დაიკლებს. ამასთან, სამომხმარებლო ხარჯების შემცირება ნაწილობრივ კომპენსირებული იქნება ევროკავშირის მიერ დაფინანსებული საჯარო ინვესტიციებით. ეკონომიკური ზრდა დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნებში, პროგნოზის თანახმად, საშუალოდ 3.1% იქნება მომდევნო ორი წლის განმავლობაში, რასაც გაამყარებს ინფრასტრუქტურაში განხორციელებული ინვესტიციები და სერვისების მდგრადი ექსპორტი. წელს უკრაინაში მოსალოდნელია ეკონომიკური ზრდის კლება 1.2%-მდე, მიმდინარე ომის, ენერგომატარებლებზე მზარდი ხარჯების და ფისკალური წნეხის გამო.

გაჭიანურებული და ინტენსიური კონფლიქტი ახლო აღმოსავლეთში რისკის მნიშვნელოვან ფაქტორად რჩება, ენერგომატარებლების და სასუქების გლობალური მიწოდების მოშლის პოტენციალით, რასაც შეუძლია ენერგორესურსების და სურსათის ფასების მნიშვნელოვანი ზრდის და რეგიონის ეკონომიკის არსებითი ვარდნის გამოწვევა.

ევროპის და ცენტრალური აზიის ბევრ ქვეყანაში პროდუქტიულობის ზრდის შენელებამ ბოლო ათწლეულის განმავლობაში პოლიტიკის ზოგიერთი შემმუშავებელი აიძულა რომ ფართო მოცვის რეფორმები შეეცხო სამრეწველო პოლიტიკით, რაც მიზნად ისახავდა სახელმწიფოს ინტერვენციებს კონკრეტული სექტორების, ღონისძიებების ან ფირმების ხელშეწყობას.

ანგარიშის სპეციალურ ანალიზში ხაზგასმულია, თუ როგორ შეუძლიათ ქვეყნებს სამრეწველო პოლიტიკის გამოყენება ეკონომიკური ზრდის და სამუშაო ადგილების შექმნის დასაჩქარებლად, ისე რომ რეგიონის მიდგომამ სარგებელი მოიტანოს უკეთ განსაზღვრული მიზნების და ღონისძიებების დასახვით, რომლებიც გააძლიერებს სამომავლო კონკურენტუნარიანობას არსებული ეკონომიკური სისუსტეების გაღრმავების ნაცვლად. მაგალითად, სამრეწველო პოლიტიკის ყველა ინტერვენციის დაახლოებით ორი მესამედი ამჟამად მიმართულია სოფლის მეურნეობაზე და სურსათის წარმოებაზე, მაშინ როცა მხოლოდ 10%-ია ფოკუსირებული მაღალტექნოლოგიურ ან სამრეწველო დანიშნულების საქონელზე.

*„პროდუქტიულობის და სამუშაო ადგილების მნიშვნელოვანი ზრდის მისაღწევად ევროპის და ცენტრალური აზიის ქვეყნებს შეუძლიათ ამბიციური პოლიტიკის რეფორმების პრიორიტეტიზება, რომლებიც უზრუნველყოფს სამეწარმეო გარემოს მოდერნიზაციას, ხელს შეუწყობს ბიზნესის განვითარებას და გააუმჯობესებს განათლების ხარისხს. სახელმწიფო რესურსების, მაგ. ინდუსტრიული პარკების ან სპეციალური ეკონომიკური ზონების მიზანმიმართულ გამოყენებას იდენტიფიცირებულ საბაზრო პრობლემებზე რეაგირების ხელშეწყობა შეუძლია. თუმცა, სამრეწველო პოლიტიკა გამოყენებულ უნდა იქნეს ზომიერად და მხოლოდ დროებით“* - განაცხადა **მსოფლიო ბანკის მთავარმა ეკონომისტმა ევროპის და ცენტრალური აზიის რეგიონში ივაილო იზვორსკიმ**.

ანგარიშის რეკომენდაციას, რომ სამრეწველო პოლიტიკა ახდენდეს ახალი და დინამიური კერძო სექტორის ფირმების და იდეების წახალისებას, ბაზრის ამჟამინდელი მოთამაშეების, მაგალითად, სახელმწიფო საწარმოების მხარდაჭერის ნაცვლად, და რომ ის უნდა აძლიერებდეს და ხელს არ უშლიდეს კონკურენციას.

საკონტაქტო პირი: *მსოფლიო ბანკის მედიასთან ურთიერთობის სამსახური*: (202) 473-7660, [press@worldbank.org](mailto:press@worldbank.org)